

ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

ვაშაკიძე ნათელა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მაღლაკელიძე დეზდემონა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

The Theoretical and Practical Aspects of Accounting Teaching

Vashakidze Natela – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Maglakelidze Dezdemonia – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim of the study The main purpose and basic essence of the financial information is to reflect current financial position and past activity results of the company. This information helps users to set the goal and the correct plan of action.

It is necessary to protect the basic principles of accounting in order to become more reliable and objective financial reporting and the quality of economic information for its users. After studying the basics of accounting and financial accounting student should be able to direct enterprise accounting activities according to the international standards, principles and requirements respectively

Research methodology The quality level of reliability of financial Information can be carried out by using modern computerized accounting programs The use of these programs will be available only after studying theoretical part of accounting. For this purpose, teaching of the accounting basics and financial accounting takes place in the computer labs. The method is as follows: After Real monitoring, systematic provision of computer tests to the group we did the analysis, how much was more efficient teaching quality parameters compared to previous years.

Results and implications Based on a comprehensive study student should be able to solve the optional task after completing the basics of accounting and financial accounting. this is implying both: 1. preparation of primary accounting documents and accounting balances; 2. to give the right advice to the company in a difficult financial situations.

Conclusion: Thus, the programs aim to give the student: Knowledge about economic categories, entrepreneurial activities, accounting and bookkeeping; To develop skills about understanding and evaluation of the economic transactions; Skills concerning documentation of the economic transaction; To reflect the economic transactions in accounting registers; Knowellege about closure of accounting statements; how to use computer programs for trial accounting I balances. Unfortunately, a university course in this regard is not so competitive. Still ar not enough equipped classrooms with computers.

Keywords financial information, principles of accounting, computer programs

1. შესავალი და კვლევის მიზანი. ფინანსური ინფორმაციის ძირითადი არსი და მთავარი მიზანი არის საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და წარსული საქმიანობის შედეგების გადმოცემა. აღნიშნული ინფორმაცია ეხმარება მის მომხმარებლებს დასახონ მიზანი და სწორი მოქმედების გეგმა.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეკონომიკური ინფორმაცია მისი მომხმარებლისათვის უფრო საიმედო და ობიექტური რომ გახდეს, აიცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების დაცვა. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებისა და ფინანსური აღრიცხვის კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს წარმართოს საწარმოში ბუღალტრული საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა სწავლობს ისეთ საკითხებს, როგორცაა: საწარმოში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი რეგისტრებში ასახვა, ფინანსურ ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის ძირითად პროცედურებს.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საშუალებას იძლევა ამაღლდეს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეკონომიკური ინფორმაცია მისი მომხმარებლისათვის უფრო საიმედო და ობიექტური გახდეს. კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს წარმართოს საწარმოში ბუღალტრული საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ნორმების დაცვით, ფინანსური ინფორმაცია შეასწოროს საგადასახადო კოდექსის თანახმად.

2. კვლევის მეთოდოლოგია.

აქ აკრიბეთ ტექსტი ... ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლების საიმედოობა შესაძლებელია თანამედროვე კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენებით. პროგრამების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული ნაწილის ათვისების შემდეგ. ამ მიზნით ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების და ფინანსური აღრიცხვის სწავლება ხდება კომპიუტერულ ლაბორატორიებში. კვლევის მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: რეალური მონიტორინგის, ჯგუფთან სისტემატიური კომპიუტერული ტესტების მიწოდების გზით გავაკეთეთ ანალიზი, რამდენად უფრო ეფექტურია სწავლების ხარისხობრივი მაჩვენებლები წინა წლებთან, ანუ მხოლოდ თეორიის სწავლებასთან შედარებით.

ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს უნდა შეეძლოს დაიკავოს ბუღალტრის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.

კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების შესწავლა შესაძლებელია თეორიული ნაწილის შუა პერიოდებიდან ან დამთავრებისთანავე.

დღეისათვის პრაქტიკაში ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება და დამუშავება ხდება კომპიუტერულ პროგრამაში, რაც გაცილებით ამარტივებს ბუღალტრის საქმიანობას. ეს პროგრამებია: ორისი; სუპერფინი, ინფო და სხვა. კომპიუტერული პროგრამების შესწავლისათვის სტუდენტმა აუცილებლად უნდა აითვისოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა და ზოგადი აუდიტი . [1] ამ მიზნის მისაღწევად სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი:

- პირველადი დოკუმენტაციების დამუშავება;
- საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბება

პირველადი დოკუმენტების შექმნა და წარმოება. ეს თავის მხრივ იყოფა:

- სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერები
- ბანკის ოპერაციების დამუშავება
- სახელფასო უწყისი
- სასაქონლო ზედნადები
- ინვოისი
- საბაჟო დეკლარაცია
- საწვავის აღრიცხვა
- სამივლინებო მოწმობა

საწარმოს ფინანსური შედეგების გამოთვლა:

- მოგება/ზარალი.
- ბალანსი.

საწარმოს ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციების შევსება და წარდგენა.

- საშემოსავლო
- დღგ
- მოგება

• ქონება

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვისა და ზოგადი აუდიტის თეორიული ნაწილის შესწავლის საფუძველზე სტუდენტმა საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ უნდა შეძლოს კომპლექსური ამოცანების გადაჭრა, რაც გულისხმობს როგორც ფინანსური უწყისების, ასევე საგადასახადო დეკლარაციების მომზადებას და წარდგენას, რთულ ფინანსურ სიტუაციაში კომპანიისათვის მართებული რჩევის მიცემას და საგადასახადო კანონების მორგებას კომპანიის სასიკეთოდ.[2]

კურსის სრულყოფილად დაუფლების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს აწარმოონ საწარმოს საბუღალტრო საქმე და სრულყოფილად წარმართოდ საგადასახადო აღრიცხვიანობა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არსებობს ბუღალტრულ - კომპიუტერული სტანდარტული პროგრამები, რომლებიც, მიზნად ისახავენ შესძინონ სტუდენტს ეკონომიკური კატეგორიების, სამეწარმეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა; განუვითაროს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საცდელი ბალანსის შედგენის და საბოლოოდ კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენების უნარ-ჩვევები.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებისა და ფინანსური აღრიცხვის სწავლების ეფექტურობა გულისხმობს, რომ სტუდენტს მისი დაუფლების შემდეგ პრაქტიკულად უნდა შეეძლოს:

- ა) ანგარიშთა დათვალიერება, ნაშთების, ბრუნვითი ბალანსის და ანგარიშთა ბარათების წარმოება;
- ბ) საბუღალტრო ოპერაციების შესრულება და გატარებების მიხედვით ბრუნვით ბალანსზე მუშაობა;
- გ) სასაქონლო მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების სიის აწყობა და აღრიცხვა;
- დ) პირველადი დოკუმენტების დამუშავება;
- ე) ფულადი სახსრების მოძრაობის (სალარო და ბანკი) აღრიცხვა;
- ვ) მომუშავე პერსონალთა სიის და ხელფასის გაანგარიშებისათვის საბუთების შექმნა;
- ზ) პროგრამაში მუშაობისას წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა;

საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ოპერაციების აღსარიცხავად ბუღალტრული ანგარიშები გამოიყენება. სამეურნეო ოპერაციების სიმრავლე და მრავალფეროვნება ბუღალტრული ანგარიშების სიმრავლესაც განაპირობებს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რაც ანგარიშების გარკვეული სისტემის ჩამოყალიბებას ნიშნავს.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა სამეურნეო საქმიანობის აღსარიცხავად გამოსაყენებელი და აუცილებელი ყველა ანგარიშის სისტემატიზებული სიაა, ჩამონათვალია.

ანგარიშთა გეგმის შედგენის საფუძველია ანგარიშების კლასიფიკაცია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ანგარიშთა გეგმის საფუძველზე ეწყობა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბუღალტრული აღრიცხვის მთელი სისტემა. ანგარიშთა გეგმის მონაცემების საფუძველზე მზადდება ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შემდგომ გამოიყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და საერთოდ, მომხმარებლებზე ინფორმაციის მიწოდებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ეკონომიკურად დასაბუთებული ანგარიშთა სისტემის გამოყენების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების მაჩვენებლების მიღებას.

ანგარიშთა გეგმაში ანგარიშების დასახელებასთან ერთად მოცემულია მათი შიფრი (კოდი) ე. ი. სახელწოდების ციფრობრივი (სიმბოლური) აღნიშვნა. ანგარიშთა შიფრების (კოდის) გამოყენებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ამცირებს სააღრიცხვო სამუშაოთა მოცულობას, აუცილებელია ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავებისას, აღრიცხვის მექანიზაციის (კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამები) გამოყენებისას და სხვა.[3]

ბასს-ით რეგლამენტირებულია მხოლოდ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა, რომლის დაცვა სავალდებულოა. მასასადამე, ნებისმიერ საწარმოს, მეწარმეს უფლება აქვს თავად შეიმუშავოს და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვროს მისთვის გამოსაყენებლად აუცილებელი ანგარიშთა გეგმა, ბასს-ით დადგენილი სტრუქტურის ფარგლებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული გარკვეული სიძნელეების გამო, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ 1999 წლის 12 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ შემუშავებული ანგარიშთა გეგმა, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სავალდებულოა გამოსაყენებლად კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის.[4]

3. შედეგები და იმპლიკაციები.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებისა და ფინანსური აღრიცხვის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე სტუდენტმა საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ უნდა შეძლოს პირობითი ამოცანის გადაჭრა, რაც გულისხმობს როგორც პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტებისა და ბუღალტრული ბალანსების მომზადებას ასევე რთულ ფინანსურ სიტუაციაში კომპანიისათვის მართებული რჩევის მიცემასაც.

აღნიშნული კურსების სრულყოფილი დაუფლებისათვის შევქმენით ელექტრონული წიგნი და პრაქტიკული სამუშაო რვეულები, რომლებიც თითოეულ სტუდენტს გადაეგზავნება ელექტრონულად სილაბუსთან ერთად. ჯგუფში მუშაობა მიმდინარებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით კომპიუტერულ ლაბორატორიებში, სადაც სტუდენტებს მიეცემათ დავალებები სამუშაო რვეულიდან, სიტუაციური ამოცანების, სამეურნეო ოპერაციებზე ბუღალტრული გატარებებისა და რეგისტრებში ჩანაწერების, საცდელი ბალანსისა და ფინანსური ანგარიშგების შესავსებად.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებსა და ფინანსური აღრიცხვაში ერთი შუალედური და ფინალური გამოცდა ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ტესტების, ბუღალტრული გატარებების და ამოცანების ამოხსნის გზით. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა აღნიშნული დისციპლინების სწავლების საკითხში, ვისურვებდით კიდევ უფრო უკეთესად უზრუნველყოფილ ტექნიკურ ბაზას, რაც გულისხმობს კომპიუტერული ლაბორატორიების რაოდენობის გაზრდას.

4. დასკვნა

ამრიგად აღნიშნული საწავლო პროგრამები მიზნად ისახავენ შესძინოს სტუდენტს ეკონომიკური კატეგორიების, სამეწარმეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა; განუვითაროს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საცდელი ბალანსის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამა “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი” მოწოდებულია რათა მოამზადოს სპეციალისტები.

სამწუხაროდ, საუნივერსიტეტო კურსი ამ მხრივ არც თუ ისე კონკურენტუნარიანია სხვა კერძო სასწავლო ფირმებთან შედარებით. შესაბამის დეპარტამენტს არ გააჩნია სათანადო ტექნიკური ბაზა. წლების განმავლობაში სტუდენტები ბუღალტერიისა და აუდიტის თეორიულ, კლასიკურ კურსს სწავლობენ უნივერსიტეტში, ხოლო ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად დადიან სხვადასხვა კურსებსა თუ ტრენინგებზე. იმედი გვაქვს, რომ უახლოესი სასწავლო წლების განმავლობაში აწსუ შეძლებს გამოუმვას ამ დარგის ისეთი სპეციალისტები, რომლებიც სრულყოფილად დააკმაყოფილებენ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. შეძლებენ გამოიყენონ კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამები ფირმის, კომპანიისა თუ ორგანიზაციის აღრიცხვასა და აუდიტში.

გამოყენებული წყაროები

- [1] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) გვ 3-5
- [2] ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს).
- [3] ე.ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები: თბილისი. 2014 გვ.11-15
- [4] ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბ., 2014 გვ67 -87